თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 2018 წლის 16 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ლევანი ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი მალხაზ ბაღუაშვილი, ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი, ამავე სამსახურის ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ვახტანგ გაგნიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იოსებ პარწიკანაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროექტების განხილვა.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროექტების განხილვა.

დავით ღაღანიძემ კომისიას გააცნო 2018 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ნაწილი და აღნიშნა, რომ თანხა შეადგენს 5307,8 ათას ლარს, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა 1323,3 ათასი ლარი, კომუნალური ინფრასტრუქტურის- მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-3748,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები 109,5 ათასი ლარი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქში არსებული გზების მოვლა-პატრონობაზე გათვალისწინებულია 190,0 ათასი ლარი, ქალაქის ქუჩებისა და მუნიციპალიტეტის სოფლების გზების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაციაზე 629,0 ათასი ლარი 516,5 ათასი ლარითაა გათვალისწინებული ამხანაგობების თანადაფინანსება. 100,0 ათასი ლარი მოხმარდება ჩამდინარე წყლების სისტემების მოვლა-პატრონობას. 1018,0 ათასი ლარით დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების ღონისძიებები. გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 60,0 ათასი ლარი, 935,5 ათასი ლარია გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოვლა-პატრონობა-ექსპლუატაციისათვის, საიდანაც 105,5 ათასი ლარი დაიხარჯება ახალი ქსელების მოწყობაზე. 163,8 ათასი ლარით (თანადაფინანსება) დაფინანსდება სასმელი წყლების რეაბილიტაცია სოფელ კონდოლში, სოფელ შალაურში, სოფელ ნაფარეულში, სოფელ გულგულაში, სოფელ ვანთაში, სოფელ ფშაველში, სოფელ წინანდალში და სოფელ ყარაჯალაში. ქ. თელავის სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე გათვალისწინებულია 34,5 ათასი ლარი 75,0 ათასი ლარით დაფინანსდება ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია, საიდანაც 25,0 ათასი ლარი მოხმარდება სოფელ ნასამხრალის ბაგა-ბაღის რეაბილიტაციას (რეგიონალური ფონდის თანადაფინანსება და ზედამხედველობა), 50,0 ათასი ლარი კი სოფელ ვარდისუბნის საბავშვო-ბაღის რეაბილიტაციას. ქ. თელავში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ,,ყადორი''-ს სკვერს, რისთვისაც დაიხარჯება 20,0ათასი ლარი, 31,7 ათასი ლარით დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არქეოლოგიური სამუშაოები და დასუფთავების ღონისძიებები.

დ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შემოსულია ქ. თელავში გულიაშვილის, ფალიაშვილის, ლაღიძის, დოდაშვილის და გურამიშვილის ქუჩების მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომლებიც ითხოვენ ე.წ. ,,ქართველების სასაფლაო''-ს შემომსაზღვრელი გალავნის დანგრეული ნაწილების

აღდგენასა და გულიაშვილის ქუჩაზე გარე განათების საყრდენის შეცვლას. აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებული არ არის 2018 წლის ბიუჯეტით. მანვე აღნიშნა, რომ სოფელ ყარაჯალის მოსახლეობა ითხოვს საუბნო გზის მოხრეშვას, გარე განათების მოწყობას და ნაგვის ურნების დამატებას.

აზრი გამოთქვეს: გ. წაწალაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სოფლებში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ხარჯები. გამოყოფილი 34,5 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხმარდეს მხოლოდ ქ. თელავის სასაფლაოების მოვლა-პატრონობას. სოფლის სასაფლაოების დიდი ნაწილი გასასუფთავებელი და შემოსაღობია. სასურველია, რომ მერიამ აღნიშნულ საკითხს მიაქციოს ყურადღება.

ბ.ქოჩიშვილმა აღნიშნა, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ამხანაგობების) პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად გამოყოფილია 516,5 ათასი ლარი, საიდანაც 200,0 ათასი ლარი მოხმარდება ამხანაგობების პრობლემური საკითხების მოგვარებას, ხოლო 316,5 ათასი ლარი დაიხარჯება ერეკლე II გამზირის №1 ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოებზე. 200,0 ათასი ლარით ვერ მოგვარდება ამხანაგობების პრობლემები, საჭიროა თანხის გაზრდა და სამუშაოების თანადაფინანსებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ფასადების შეკეთებას.

ი. პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ აკურაში საბავშვო- ბაღისაკენ მიმავალ გზაზე დაიგო ასფალტი. აუცილებელია გზაზე მოეწყოს შემზღუდავი ბარიერები, რადგან სწრაფად მოძრავი ავტო სატრანსპორტო საშუალებები საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. მისი თქმით სოფელ აკურასა და სოფელ ვანთის მოსახლეობა ითხოვს შიდა საუბნო გზებზე მოეწყოს გარე განათება. არ არის აუცილებელი ყველა ბოძზე სანათის დაყენება, ქუჩის მთელ სიგრძეზე რამდენიმე სანათის დაყენებაც მოაგვარებს პრობლემას. გარე-განათების ახალი ქსელების მოსაწყობად გათვალისწინებულია 105,0 ათასი ლარი და ვთხოვ თელავის მუნიციპალიტეტის მერიას გაითვალისწინოს აკურისა და ვანთის მოსახლეობის თხოვნა.

ი. პარწიკანაშვილმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე სოფლებში გზების მდგომარეობაზე. მან ასევე განაცხადა, რომ შეუძლებელია ყველა გზა მოიხრეშოს და მოასფალტდეს, მაგრამ არის გზები სადაც გავლა შეუძლებელია და საგზაო-ტექნიკის ,,გრეიდერი''-ს გავლით შესაძლებელია პრობლემის მოგვარება.

გასაწმენდია სოფლად ნიაღვარმიმღები არხები, რის გამოც ნალექების დროს მოვარდნილი წყალი აზიანებს ქუჩებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია ქ. თელავში პარკებსა და დასვენების ადგილებში შეირჩეს ტერიტორიები, სადაც განთავსდება სავარჯიშო მოწყობილობები, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს რეკომენდაცია 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას შეძლებისდაგვარად მოაგვაროს შემდეგი პრობლემები:

- ქ.თელავში ე.წ. ,,ქართველების სასაფლაო''-ს შემომსაზღვრელი გალავნის დაზიანებული ნაწილების აღდგენა.
- სოფლებში სასაფლაოების გაწმენდა-დასუფთავება და შემოღობვა.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების კეთილმოწყობა.
- სოფელ აკურაში, სოფელ ვანთაში და ყარაჯალაში შიდა საუბნო გზებზე გარე განათების მოწყობა.
- სოფლებში ნიაღვარმიმღები არხების გაწმენდა.
- სოფელ ყარაჯალაში საუბნო გზის მოხრეშვა და ნაგვის ურნების დამატება.
- ქ თელავში პარკებისა და დასვენების ადგილებში სავარჯიშო მოწყობილობების განთავსება.

(რეკომენდაცია თან ერთვის ოქმს ერთ ფურცლად.)

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე